კომუნისტი

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲤᲣᲚᲘᲡᲤᲐᲚᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ Კ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠ.ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲡᲐᲛᲨᲑᲐᲗᲘ, 29 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1925 წ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 24, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲠᲝ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲓᲦᲔ 10—11 ს. ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ (ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 14—76 (ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ 10—56 ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 5—43, ᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 13—80.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲪᲔᲥᲢᲘ № 24 ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 10—49.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ 75 კ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ 1 Თ. ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ—1 Თ. 20 კ., ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲠᲝᲒᲐᲜᲘᲗ "ᲠᲐᲓᲘᲝᲡ" ᲓᲐ "ᲛᲔᲢᲠᲘᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲓᲐ "ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ". ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ: ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ—20 კ., ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘᲗᲘ—25 კ., ᲡᲐᲛᲬᲚᲝᲕᲘᲐᲜᲘ—5 მან. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲣᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲠᲕᲐ 50 კ. ᲬᲚᲘᲜᲘᲗ. ᲛᲘᲦᲔᲑᲐ 3 Თ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ 6 ᲒᲕᲘᲡᲚᲡ

ᲓᲦᲘᲣᲠᲜᲐᲚᲘ

— ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲕᲔᲦᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲚᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲘᲯᲘᲗ.
— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲨᲘᲡ.
— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
— ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲙᲣᲗᲘ.
— ᲒᲐᲘᲠᲗᲕᲐ ᲩᲔᲩᲝ-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲚᲘᲗ.
— ᲙᲣᲠᲐᲟᲣᲚ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲐᲜ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ) ᲓᲐᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲚᲘᲗ.

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 223 (1378)

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲔᲠᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ. — ᲠᲣᲡᲣᲚᲘ. ᲞᲠ. № 24. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲙᲠ. Კ. Პ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ.

ᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ 1925-1926 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲘᲚᲕᲐᲛ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲛ.

ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ. ᲘᲛ 40 ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲔᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲔ�გᲛᲐ, ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲜᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ (30 ᲞᲠᲝᲪ.) ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲬᲘᲜᲔᲓᲦᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲠ

ამხ. ჩიჩერინის ჩასვლა პოლონეთში

ვარშავა, 27 სექტ. პოლონეთში მიმავალ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ჩიჩერინისთვის პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასცა სპეციალური სალონ-ვაგონი, რომლითაც ჩიჩერინის შესახვედრათ საზღვარზე გაემგზავრენ წარმომადგენლობის პირველი მდივანი ბ-ნი არკადიევი, მეორე მდივანი ბ-ნი ტკოვსკი და პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს რუსეთის განყოფილების უფროსი ვშელაკი. სტოლბცაში მისვლისას ჩიჩერინს შეხვდა სტოლბცის სტაროსტა, რომელიც მოკლე სიტყვით მიესალმა ჩიჩერინს. პასუხში ჩიჩერინმა კმაყოფილება გამოთქვა და მადლობა გამოუცხადა მისალმებისთვის.

ვარშავის საგარეო ჩიჩერინს შეხვდენ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სკშინსკი, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ვოროვსკი, პოლონეთის ელჩი მოსკოვში კენტშინსკი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი პოლონეთში ნაცარეუსი, ჟურნალისტები და სხვ.

ვარშავის საგარეო დარბაზში სკშინსკი ესაუბრა ჩიჩერინს და შემდეგ თავისას მიიწვია საუზმეზე, და აგრეთვე თათბირზე ორივე ქვეყნის შესახებ საკითხების მოსაგვარებლათ.

საგარეოდან ამხ. ჩიჩერინი წავიდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

ამხ. ჩიჩერინი ვარშავაში

ვარშავა, 27 სექტ. ამხ. ჩიჩერინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან საუზმის დროს. ამის შემდეგ სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში ამხ. ჩიჩერინი ინახულა სკშინსკიმ და პოლონეთის ელჩმა მოსკოვში კენტშინსკიმ.

„გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!"

ვენა, 27 სექტემბერი. მომავალ არჩევნების გამო, რუშინეთის მუშათა პალატებში და გლეხთა პარტიამ მოიწვიეს კრებები ბუქარესტის სამრეწველო რაიონში—კომპინში. კრებებზე დასწრე სამრეწველო მუშები გამოაცხადეს: „გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, გაუმარჯოს რევოლიუციონურ პროფკავშირებს".

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობა

პრაგა, 27 სექტ. ჩეხო-სლოვაკიის საგენტო იტყობინება, რომ 27 სექტემბერს გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობს დელეგატების დიდი რაოდენობა.

პარტიის ცეკას სახელით გაკენმა განმარტა ყრილობის ამოცანები და განაცხადა, რომ იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც მიეიღო პარტიის ბოლშევიზაციის პროცესში, ყრილობას შეუძლია მხოლოდ დაადასტუროს კომინტერნის მე-5 კონგრესის დადგენილებები. მიუხედავად გაწელილ ლეროიზულ შინაგან კრიზისისა, პარტია მტკიცეა და მთლიანი.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ შემოაღლის წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული საპრეზიდიუმო რეზოლიუციაკომუნისტური მოძრაობის დევნის და თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ, „წარსულები გასული წლის შემოდგომიდან, პოლიტიკურ პროცესების რიცხვი იზრდება. რეპრესიების გაძლიერების ერთად-ერთ საბაბს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინგლისი „ყოფს ასულ ფართო ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, ინგლისი ეწევა ბრძოლას ინდოეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ირანში, ბალკანეთში, ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარზე

რ. კ. პ. (ბ) ამერიკა-კავკასიის საოლქო კომიტეტის კლენუმი

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

რ. კ. პ. (ბ) ამერიკა-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ *)

ებლა გადავალ მეორე საკითხზე. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ ჯერ კიდევ პარტიულ ყრილობაზე პირდაპირ იყო დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ თუ ჩვენ არ შევქმენით ჩვენში პროლეტარული კერები, არ შევქმენით ჩვენს ქვეყანაში თუნდაც ბაზისი მრეწველობისა, ჩვენთვის ძნელი იქნება საბჭოთა ხელისუფლების განტკიცება და მისთვის საიმედო დაბაყრდენის შექმნა, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში გლეხური მოსახლეობის სიჭარბეს, რასაც ადგილი აქვს სომხეთში და საქართველოში.

საქართველოში და სომხეთში საქმემ ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო და აქ, რამდენიც არ უნდა ვაწენოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორადაც არ უნდა ვაწყოთ პარტიული უჯრედები და საბჭოები, თუ ჩვენ გლეხობის ზედმეტ მოსახლეობას არ ვუშვენით სამუშაოს, ის არა ერთხელ და ორხელ მოგვაწყობს სკანდალებს. რასაკვირველია, არავითარი სოციალიზმი—დამყარება არ შეიძლება ჩვენი მამა-პაპური გუთნით.

მომდინარე წლისათვის ამ კერების შექმნის პროგრამას შედგენისას ჩვენ დავისახეთ მიზნად პირველ ქარხნების და ფაბრიკების აგება. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ჩვენ წინადადებას მხარი დაუჭერეს, დაგვეთანხმენ 12 მილ. მანეთის გაღებაზე 1925-26 წლისათვის. შესაძლებელია, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და შრომის თავდაცვის საბჭომ შეამცირონ ეს თანხა, მაგრამ ჩვენი ზომავალი მრეწველობის საძირკველი მაინც ჩაყრილი იქნება.

ჩვენს გადაწყვეტილებებში ჩვენ საკმაო სიძლიერით ხაზი გავუსვეთ და მივიღეთ ზომები ჩვენი სახოფლო-მეურნეობის მექანიზაციის შესახებ. ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის, როგორ ხნავენ ჩვენში მიწას: 8 წყვილი კამეჩით, ან 8—10 წყვილი ხარით მიათრევენ გუთანს. სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის იდეა პოულობს დიდ გამოხმაურებას აზერბაიჯანში და სომხეთში. რაც შეეხება საქართველოს, წინააღმდეგ ბევრი ამხანაგისა, რომლებიც მხარს უჭერენ ამ იდეას, მიწათმოქმედების საბალხო კომისარიატის აპარატი, თვით სახალხო კომისარის წინააღმდეგ, დიდ კონსერვატორზს იჩენს. ამას წინად მე წავითხე ბოლშევიკის ერთ-ერთი პროფესორისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატიდან. მეტად დამსახურებულ აგრონომის.—ეს თავიდან ბოლომდე რომანტიკაა: ეს კაცი ხოტბას ასხამს „კამეჩის მაგარ ფეხებს“ და ჩვენს ძველ „გუთანს“, რომელიც თურმე ყოფილა „ხალხის სიბრძნის გასახიერება“. ის ხარებს უწოდებს „თავისი პატრონის შეგნებულ დამხმარეებს, რომლებმაც უკვე იციან როგორ დახნან მიწა და როგორ დაეხმარონ პატრონს“, და ასე ბოლომდე ჩემი აზრით, ამ მიმართულებით ჩვენ დაგვჭირდება ძალიან დიდი მუშაობა.

შევეხები **საგლეხო პროდუქციის განვითარებას**. ამ დღეებში გამართული იყო მთელი თათბირი ამხ. ლუკაშინის თავმჯდომარეობით, რომელიც არჩევდა ამ საკითხს. ჯერ ცნობები რესპუბლიკებიდან არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ცოტა რამ ამ მიმართულებითაც არის გაკეთებული.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს არ დარჩენია უყურადღებოთ **კურორტებიც**. ჩვენ მოგვივიდა მთელი რიგი განცხადებებისა ბაქოელ ამხანაგებისაგან იმის შესახებ, რომ ბაქოს მუშებს, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ საქართველოს კურორტებზე, იქ მისვლისას ყველაფერი მოემზადებული ხვდებოდათ და იძულებული იყვნენ თვითეულ ემუშავათ ამ კურორტების წესრიგში მოსაყვანად, და რომ ამატომ მომავალ წლისათვის ისინი აღარ დაიპარებენ წამოსვლასო.

ჩვენ გადავსწყვიტეთ დაგვეყენებია ეს საკითხი სათანადოთ, გამოგვეძებნა საშუალებები და მოგვეწყო ჩვენი კურორტები. თუ ჩვენ მოვახერხებთ მათ მოწყობას, ისინი იქნებიან საუკეთესო კუთხეები მთელს საბჭოთა კავშირში.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ აქ ჩამოსული იყო ნანსენი. მის კომისიას ეწოდებოდა ნანსენის კომისია, ფაქტიურად კი ის წარმოადგენდა ერთა ლიგის კომისიას. ამ კომისიამ დასვა საკითხი სარდარაბადის ველის მორწყვის და იქ ლტოლვილების დასახლების შესახებ. ამისათვის თითქოს უნდათ ჩვენთვის სესხის მოცემა, მაგრამ, თუ სესხი მოგვცეს, ისინი მოითხოვენ კანტროლს სესხის დახარჯვაზე. მათ ეუბასუხეთ, რომ ჩვენ მზად ვართ პირადათ ნანსენი დავაყენოთ ამ საქმის სათავეში, მაგრამ არავითარ კანტროლს ერთა ლიგის მხრივ არ დაუშვებთ. ეს ნანსენის კომისია უკვე გაეგზავნა. თქვენ, ალბად, გუშინ წაიკითხავდით, რომ ერთა ლიგის სესიაზე მოსმენილი იყო ამ კომისიის მოხსენება, მაგრამ როგორი იქნება შედეგები, არ ვიცით.

ორი სტატია ქართველ მენშევიკების შესახებ.

თქვენ, ალბად, გახსოვთ მენშევიკების გახრწნის მთელი ხანა 22—23 წლებში. ამხ. ფარნიევის ჯგუფმა ჩამოაცილა მენშევიკებს 13—15 ათასი მუშა და ლენი. მას მოჰყვა მეორე ჯგუფი—ამხ. ძამანაშვილის ჯგუფი, რომელმაც, მისი სიტყვით, თან გადმოიყვანა 10 ათასი კაცი. ეს უკანასკნელი ჯგუფი შესდგებოდა მხოლოდ ქართველ მუშებისაგან. ამ ჯგუფმა მენშევიკების გამოსვლის შემდეგ მოაწყო ეგრეთ წოდებული მუშათა კომისია, რომელმაც ჩაატარა საკმაოდ დიდი მუშაობა. ამას წინად პარიზიდან ჩამოვიდა ძალიან მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც გამოეყო ნ. ყორდანია-რამიშვილის ჯგუფს. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ ჯგუფს მოჰყვებიან კიდევ სხვებიც. დაბოლოს, რამოდენიმე კვირის წინ პრესაში გამოვიდა ერთ-ერთი გამოჩენილი მენშევიკი კ. ტ. ... *) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 222

*) ამხ. ა. დოლიძის წერილის გამო („კომ.“ № 191).

... ...

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეთა თათბირი

პირველი სხდომა

მოხსენებები ადგილებიდან

ზუგდიდის მაზრა

პირველ მოხსენებას ზუგდიდის მაზრის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. **შეფერა.**

— ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია,—ამბობს მომხსენებელი,—აერთიანებს 40 უჯრედს სამას ხუთ წევრით და ეს თექვსმეტ კანდიდატით. დღემდე ამ უჯრედებში საგრძნობლად მოისუსტებდა, როგორც აღმზრდელობითი, ისე საერთოდ პარტიული მუშაობა. უმთავრესი მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ ბიუროები ვერ უწევდნენ მათ სათანადო ხელმძღვანელობას. ფაქტიურად უჯრედების ბიუროები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ბიუროები თავიანთ სხდომებსაც კი არ მართავდნენ. მაგრამ არამც თუ ბიუროების, არამედ რაიკომების ხელმძღვანელობაც უჯრედებზე სრულიად არ იყო დამაკმაყოფილებელი.

დღეს კი მდგომაოობა არსებითად შეიცვალა. ახლა უჯრედებზე მიმაგრებული არიან მომზადებული ამხანაგები, რომლებმაც ერთგვარი სიცხოველე შეიტანეს უჯრედების საერთო მუშაობაში. ბიუროები თავის დროზე აწყობენ სხდომებს, ისინი იმუშავებენ აგრეთვე საანგარიშო თვეების ფარგლებში მუშაობის გეგმას; დღის წესრიგის შედგენის და დამუშავებისაც თუ წინად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, დღეს ის ბიუროების მიერ წინასწარ ისილება.

აქ ხაზი უნდა გაუსვათ კიდევ ერთ გარემოებას. წინად უპარტიოთა შორის მუშაობაც ვერ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე. უჯრედების ღია სხდომებზე ლაპარაკიც ზომ ზედმეტი იყო. აშკამად, როდესაც აღებული გვაქვს ახალი კურსი, უპარტიოთა შორის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. პარტიაში ვიღებთ ღარიბი წრეებიდან გამოსულ გლეხებს. სწარმოებს კომკავშირელთა გადარიცხვა პარტიაში. უპარტიოთა და კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვის გზით—ახლო მომავალში კიდევ უფრო გაეკვეთებათ ადგილობრივ ორგანიზაციის პარტმუშაობას.

სხვათა შორის სამაზრო კომიტეტს ყავს მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია მაზრაზე შემავალ ყველა უჯრედების დათვალიერება და სათ შესაფერ. საჭიროა ამ გარემოებას მიეცეს ჯეროვანი ყურადღება.

[illegible] ამხ. **კალაძე.**

[illegible] 1161 წევრს და 451 კანდიდატს. სამაზრო კომიტეტი ყველა თავის რაიკომებს უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. მაგრამ მარტო ეს სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადგილობრივად პარტიული მუშაობა გამოცხოველდეს. ჩვენ არ გვყვანან მომზადებული ძალები. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მუშაობა ძალიან ძნელი და რთულია. ამას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები არ არიან ნივთიერად უზრუნველყოფილნი.

რაც შეეხება პარტიის ახალ კურსს, ის ჩვენი ამხანაგების მიერ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შეთვისებული.

ახალქალაქის მაზრა

ახალ-ქალაქიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **სტეფანოვი.**

უნდა აღინიშნოს,—ამბობს ამხანაგი,—რომ ახალ-ქალაქის ორგანიზაცია, რადგან ის მხოლოდ ახლახან ჩამოყალიბდა, მოისუსტებს. დღეს-დღეობით, აქ საბჭოთა ხაზით მუშაობა უფრო უკედაა დაყენებული და ამ მხრივ უფრო მეტიც კეთდება, ვიდრე პარტიული ხაზით. ერთი არანორმალური მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ორგანიზაციაში, ის არის, რომ პარტიის კანდიდატთა რაოდენობა საგრძნობლად, თითქმის ორჯერ, სჭარბობს პარტიის ნამდვილ წევრთა რაოდენობას. გარდა ამისა, ამხანაგებს შორის თვითმოქმედება და აქტივობაც ძლიერ სუსტია.

ამ ბოლო დროს გაიზარდა ლტოლვა პარტიისაკენ. უმთავრესი წყარო, საიდანაც პარტია ავსებს თავის რიგებს, არის კომკავშირი, რომელიც ამ ჟამად აერთიანებს 900 წევრს. სხვათა შორის, კომკავშირი დღეს-დღეობით, არც რიცხვობრივად იზრდება და არც თავისებრივადაც უმჯობესდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი უჯრედების რაოდენობა დიდდება ამ ჟამად ორგანიზაციაში გაერთიანებულ წევრთა ხარჯზე. ამ უკანასკნელად კომკავშირს კიდევ ერთი დიდი ნაკლი დასჩემდა: ძალიან ხშირად იცვლებიან პასუხისმგებელი მდივნები, რაც გავლენას ახდენს საერთო მუშაობაზე.

შემდეგ ამხანაგი ჩერდება საკანდიდატო ჯგუფებზე. ასეთი ჯგუფების დაარსება განზრახულია კიდევ 9, რაც მეტად ხელს შეუწყობს ახალქალაქის ორგანიზაციაში პარტიულ კადრის შექმნას.

ქალთა შორის მუშაობა სხვა მუშაობასთან შედარებით გაცილებით უკეთესადაა დაყენებული. ქალი-ორგანიზატორი არავითარ ძალღონეს არ ზოგავს ქალთა მასების ასამოძრავებლად. ამ მიზნით ის კიდეც ხშირ-ხშირად გზავნის თავის ინსტრუქტორს სოფლად.

ჩვენში პიონერთა ორგანიზაციაც დღითი-დღე იზრდება. ახალქალაქში პიონერთა ორგანიზაცია ერთი საუკეთესო მასიური ორგანიზაციათაგანია.

ოზურგეთის მაზრა.

ოზურგეთიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **კილაძე.**

[illegible] აერთიანებს 1161 წევრს და 451 კანდიდატს. სამაზრო კომიტეტი ყველა თავის რაიკომებს უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. მაგრამ მარტო ეს სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადგილობრივად პარტიული მუშაობა გამოცხოველდეს. ჩვენ არ გვყვანან მომზადებული ძალები. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მუშაობა ძალიან ძნელი და რთულია. ამას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები არ არიან ნივთიერად უზრუნველყოფილნი.

რაც შეეხება პარტიის ახალ კურსს, ის ჩვენი ამხანაგების მიერ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შეთვისებული.

უჯრედებში წევრთა რაოდენობა მცირეა, როგორც ესთქვით, მათი პოლიტიკური განვითარების დონეც დაბალია. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ უპარტიოებთან კავშირი სუსტია.

გურიის ორგანიზაციაში ახალი ყოფა-ცხოვრების პროპაგანდას დღეს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამის შედეგია ის, რომ ამხანაგებს შორის დისციპლინა მტკიცეა, ლოთობას და სხვა არანორმალურ მოვლენებს ბოლო ეღება.

ამ უკანასკნელ ხანებში 50-დე ყოფილი მენშევიკი მიღებული იქნა კანდიდატებად. სწარმოებს კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვაც. კომკავშირი, რომელიც ეხლა თავის რიგებში იკრებს 3.200 წევრს, ერთი საუკეთესო ძალაა გურიის ასაყვავებლად. ამიტომაც კომკავშირის რიცხვობრივი ზრდა, განსაკუთრებით კი გურიის სინამდვილეში—უნდა გახდეს ჩვენი ერთი უძირითადესი ამოცანა.

რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ის ჩვენში მოისუსტებს; რადგან ზოგიერთი პარტიული ამხანაგები ამ მუშაობას არ სთვლიან თავიანთ საქმედ. მაზრაში მხოლოდ ერთი ქალი-ორგანიზატორია, მას არა ჰყავს არც ინსტრუქტორი და არც შტატი.

დღემდე საბჭოებში კომფრაქციები არ ყოფილან. დღეს კი ასეთები უკვე არსებობენ. აღმასკომებმაც თავიანთი მუშაობა გამოაცხოველეს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა არის სათემო სისტემაზე გადასვლა.

ჩვენში პარტინსტრუქტორების რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა. საჭიროა ცენტრმა ამ მიმართულებით აღმოგვიჩინოს დახმარება.

ზოტრაპენის მაზრა

ზოტრაპენის მაზრიდან საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **თალავაძე.**

ზოტრაპენის მაზრის ორგანიზაცია აერთიანებს 47 უჯრედს. ამათში 8 მუშური უჯრედია, 4 მუშა-მოსამსახურეთა და დანარჩენი—გლეხური. უნდა ითქვას, რომ უჯრედების ბიუროების მუშაობა საერთოდ მოიკოჭლებს. თვით ის ფაქტი, რომ ბიუროების სხდომები იმართება უჯრედების სხდომების ერთი ან ნახევარი საათის წინ და დღის წესრიგი ბიუროებიდან უჯრედებში გადადის დაუმუშავებელი—ამის საუკეთესო საბუთია. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უჯრედებში აქტივობა და თვითმოქმედება ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ხშირად ეწყობა უჯრედების ღია სხდომები, მაგრამ გლეხები ასეთ სხდომებზე ბლომად იქ ესწრებიან, სადაც ცენტრია და ე. წ. ბაზრობა იმართება.

რაც შეეხება დისციპლინას, დღემდე ის სუსტი იყო. მრავლად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ამხანაგებს რამდენიმე თვეებს განსვლობაშიაც კი არ ჰქონდათ შემოტანილი საწევრო გადასახადი, კრებებსაც არ ესწრებოდნენ, მაგრამ ეხლა ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კავშირი უჯრედებს, ჟრაიკომებს და სამაზრკომს შორის დამაკმაყოფილებელია. ორგანიზაციის ზრდაც ნორმალურად მიმდინარეობს.

ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 2100 წევრს, ამათში 60—70 ამხანაგი გადარიცხულია პარტიაში. პარტხელმძღვანელობა კომკავშირზე ძლიერია: ორთიერთშორის წარმომადგენლობითი სისტემა, საერთო კრებების მოწყობა და სხვა—საკმაოდ დაცულია.

შორაპნის მაზრაში სულ 36 აღმასკომია. საბჭოების ხელმძღვანელობის საქმე კი ასეთ მდგომარეობაშია: მართალია საბჭოებში კომფრაქციების ჩამოყალიბების მიმართულებით გადაკეთებული ნაბიჯები, მაგრამ ამან არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ასე რომ, დღეს უჯრედებს უბდებათ პარტიაპირი, უშუალო პარტხელმძღვანელობის გაწევა საბჭოებზე.

კოოპერაციით ადგილობრივი გლეხკაცობა კმაყოფილია. ხოლო აქ ერთ საგანგებო მოვლენას ჰქონდა ადგილი—იყო დავალიანება, დღეს ეს ასე არ არის. დავალიანების საფინანსოდ მიღებულია სათანადო ზომები.

ქალთაშორის მუშაობა, თუ კი ამ დარგში არ იქნება საკმაო კადრი შემუშავებულია—ვერ გამოცხოველდება. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება პარტიის ცენტრალთან არსებულ ქალთა განყოფილების მიერ.

მეორე სხდომა

სამხრეთ-ოსეთი

გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

სამხრეთ-ოსეთიდან მოხსენებას ამხ. **გაბაევი.**

სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია აერთიანებს 49 უჯრედს. ამათში 6 ქალაქის უჯრედია, 43 გლეხური. 1921 წ. ორგანიზაციაში წარმოიშვა ოპოზიცია, 1925 წელს კი მან მწვავე ხასიათი მიიღო. მაგრამ სათანადო ზომების მიღების შემდეგ ამ უთანხმოებას ბოლო მოეღო.

ამ ორი თვის წინად ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. თითქმის ყველა უჯრედებში მათზე მიმაგრებულ ამხანაგების მეხედვით ხდება ამ დადგენილებათა დამუშავება. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის საერთო პოლიტიკური განვითარების დონე დაბალია. სწორედ ამისათვის მოწყობილ იქნა კურს-ყრილობები პასუხისმგებელ მდივნებისათვის, რომლებიც ამჟამად სათავეში უდგანან უჯრედების მუშაობას.

ამ ბოლო ხანებში ორგანიზაციის მიერ აღებულია კურსი ულარიბეს გლეხობის და მის საუკეთესო ნაწილას პარტიის რიგებში დასაარაზმავად. ამას წინად პარტიაში კიდეც მიღებულ იქნა 172 კაცი.

სამხრეთ-ოსეთში ჩვენ გვყავს მხოლოდ 4 ინსტრუქტორი. ეს ძალიან მცირე რიცხვია. მართალია, რაიონებზე მიმაგრებულნი არიან პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ, ათვალიერებენ და სწავლობენ უჯრედების მუშაობას, მაგრამ მარტო ეს კმარა.

კავშირი პარტამხანაგებს და უპარტიოებს შორის ძალიან კარგია. თუმცა ორგანიზაციაში არსებულმა უთანხმოებამ ერთგვარი გავლენა იქონია ამ კავშირზე, მაგრამ ამ უთანხმოების აღმოფხვრის შემდეგ ეს უარყოფითი მოვლენაც გაქრა.

ქალთა შორის მუშაობა ასეთია: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დელეგატ-ქალთა 15 კრება. დელეგატ-ქალთა რიცხვი კი აღწევს 158. საერთოდ ისეთ ჩამორჩენილ კუთხეში როგორიც სამხრეთ-ოსეთია, ქალთა შორის მუშაობის წარმოება ძალიან ძნელია. ამითაა გამოწვეული ის, რომ ქალების ჩაბმის საქმეც საზოგადოებრივ მუშაობაში კუ, ნელის ტემპით მიმდინარეობს. სხვათა შორის ამას მეორე მიზეზიც აქვს: ზოგიერთი კომუნისტები უკმაღლავენ თავიანთ ცოლებს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას.

კომკავშირს შორის მუშაობის დარგში მდგომარეობა ასეთია: ამ ბოლო ლო დროს პარტიაში გადარიცხულ იქნა 103 კომკავშირელი, რითაც ჩვენ შევქმენით კომკავშირში მტკიცე პარტკადრი და უზრუნველყავით მასზე სათანადო პარტხელმძღვანელობაც. მოძრავ პოლიტსკოლებში მეცადინეობას კომკავშირელები უფრო სისტემატიურად ესწრებოდნენ და უფრო მეტ აქტივობას იჩენდნენ, ვიდრე პარტიის წევრები. პიონერთა ორგანიზაცია არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. ბავშვთა თითქმის ყველა კოლექტივებში პიონერები უშეებენ კედლის გაზეთებს.

ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს საბჭოების მუშაობაშიაც. საბჭოებში ჩაბმულია უპარტიოთა აქტივი. სხვათა შორის საბჭოების წევრად ითვლება 57 ქალი. ამასთანავე ერთად საბჭოებთან ჩამოყალიბებულია კომფრაქციები, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ. სხვადასხვა თავისუფალი სახოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ჯერ ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. საჭიროა მაზე პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება.

ტფილისის მაზრა

ტფილისის და მისი მაზრის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ხვანაძე.**

პირველად მომხსენებელი თავის სიტყვაში ჩერდება ორგანიზაციის მოწესრიგების საკითხებზე და კერძოდ აღნიშნავს შემდეგს: ტფილისის ორგანიზაცია დღეს აერთიანებს 7,300 პარტიის წევრს. ამათში 72 პროცენტი მუშებია. წინად, ლენინის გაწვევის დროს, ჩვენს ორგანიზაციაში კანდიდატთა რიცხვი აღწევდა 50 პროც. მაშინ ეს ნორმალური მდგომარეობა იყო, მაგრამ შემდეგში კი არა. სწორედ ეს გარემოება მიღებული იქნა მხედველობაში და დღეს უკვე კანდიდატთა რაოდენობა აღწევს 34 პროც. ამ ახლო მომავალში [illegible] მიღებულთ (Ленинский набор) 100 პროც. გადარიცხვას პარტიაში.

რაც შეეხება ტფილისის მაზრას, აქაც ჩვენ ვხედავთ პარტიულ ორგანიზაციის საგრძნობ ზრდას. მაგრამ ხსენებული მაზრა როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად ძლიერ ჩამორჩენილია და ამ შემთხვევაში თქმა იმისა, რომ ადგილობრივად პარტამხანაგების მიერ კარგად და საუკეთესოდ არის შეთვისებული პარტიის ახალი კურსი—ძალიან ძნელია.

რასაკვირველია, აქ არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ მაზრაში პარტიის ახალი კურსი ფეხს არ იდგამდ ს. მაგრამ ჯერ კიდევ რომ მუშაობის ძველ კურსს და სეთოდებს გასაგალი აქვს—ესეც ფაქტია. ჩვენ უნდა მივიღოთ სათანადო ზომები, რომ ტფილისის მაზრის ორგანიზაციამ მტკიცეთ და ურყევად შეითვისოს მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებანი.

როგორც ვიცით, უჯრედი ჩვენი პარტიის ძირითადი ორგანოა და ამიტომაცაა, რომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ აქ აუცილებლად საჭიროა აღვნიშნოთ ერთი ნაკლი, რომელიც ახასიათებს საერთოდ ჩვენს უჯრედებს. საქმე იმაშია, რომ უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ამხანაგები არ ჰრიან მასიურად ჩაბმულნი. ჩვენი უჯრედების აქტივმა კარგად იცის, თუ როგორ უნდა იმუშაოს თვითონ, მაგრამ მან, თუ როგორ უნდა ჩაბას პარტიის წევრთა ახალი მასსა ამ მუშაობაში—ეს კი არ იცის. დღეს ჩვენ მიერ აღებულია ხაზი ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

გარდა ამისა, ჩვენ შევსძელით გადავსულიყავით მუშაობის „კომისიონურ“ მეთოდზე. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ უჯრედების ბიუროებთან არსებობენ კომისიები, რომლებიც წარმოადგენენ ბიუროების ქვე-ორგანოებს, დამხმარე ორგანოებს. მაგრამ ასეთ კომისიებს ჩვენ ვაარსებთ მსხვილ უჯრედებში. ხშირად ეწყობა უჯრედების ამ კომისიების გაერთიანებული თათბირი. მაგ. ამმს წინად მოწვეული იყო საორგანიზაციო კომისიების თათბირი, რომელზედაც, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ აქიქ საორგანიზაციო კომისიები ბიუროების მაგიერობას სწევდენ. ასეთი გადახრის წინააღმდეგ მიღებული იქნა სათანადო ზომები. ერთი სიტყვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ კომისიების საშუალებით ჩვენ უეჭველად შევსძლებთ პარტიის ფართე მასების უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას.

ამასთანავე ერთად დეპოში, ტრამვაიში, მთავარ სახელოსნოებში ჩვენ გვაქვს საკმარო უჯრედებიც. ურთიერთობა ამ უჯრედებს და კოლექტივს შორის ნორმალურია. ფუნქციების აღრევას აქ ადგილი არა აქვს.

ეხლა მთავრდება ავრედვე უჯრედების ბიუროების ანგარიშსაგებ, რომელიც თითქმის ყველგან წარმატებით ჩატარდა. ბიუროების ხელახალი არჩევნების დროს დემოკრატიზმი სავსებით იყო დაცული. შეიძლება ითქვას, რომ ბიუროების გადარჩევის კამპანიამ მოახდინა ჩვენი უჯრედების საერთო მუშაობაში დიდი გარდატეხა.

ეხლა ორიოდე სიტყვა უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ. ერთ [illegible] ვაწევეთ დროს, მათ შორის მუშაობა მოისუსტებდა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო სურათთან გვაქვს საქმე: თუ წინად უჯრედების სხდომების 50 პროც. დახურული იყო, დღეს ი ზვიათ შემთხვევაში თუ გიამრთება დახურული სხდომა. ხოლო თუ როგორი მნიშვნელობა აქვს უჯრედების ღია სხდომების მოწყობას, ვფიქრობ, დღეს ეს არავისათვის გაურკვეველი არ არის. უჯრედების ღია სხდომების პრაქტიკიდან მიღებული შედეგები ჩვენს თვალწინაა გადაშლილი და ვიცით ამ სხდომებს თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია უპარტიოთა შორის აქტივობის გაძლიერების და მათი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმის საქმეში.

შემდეგ, მომხსენებელი ვრცლად ჩერდება საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის მუშაობის საკითხებზე, ეხება მუშაობის და გლეხების პოლიტიკური განვითარების დონეს, სამეშაო ხელფასს, მუშების ჩამბას წარმოებებში-საწარმოო თათბირების გზით, გლეხების სხვადასხვა სამუშაოებზე წამოყენების საკითხებს და სხვა.

კერძოდ კომკავშირის შესახებ მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ უჯრედებთან არსებობენ სპეციალური კომისიები, რომლებიც დღეს უფრო მეტის სიცხოველით და ენერგიით აწარმოებენ მუშაობას კომკავშირის უჯრედებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ არის ყველაფერი რიგზე. ადმინისტრატიული გადახრა კომკავშირში დღეს უკვე აღმოფხვრილია.

დასასრულ ამხ. სვანიძე ჩერდება სოფლად მუშაობის საკითხებზე, კერძოდ თემკომების სისტემაზე გადასვლის, სოფლის მომზადებულ მოშუშვე ძალებით უზრუნველყოფის, პარტინსტრუქტორულ აპარატის გაჯანსაღების, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მუშაობის საკითხებზე.

სილნაღის მაზრა

ამხ. სვანიძის მოხსენების შემდეგ თათბირი ისმენს ამხ. მირიანაშვილის მოხსენებას სილნაღიდან.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში 21 თემკომია, რომელიც აერთიანებს 84 უჯრედს 472 წევრით და 190 კანდიდატით. ზაფხულმა უჯრედებში მუშაობა ძლიერ შეაფერხა. ერთი არანორმალური მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორგანიზაციაში, ის იყო, რომ ზოგიერთი პარტიული ამხანაგები ლოთობდნენ. ამის წინააღმდეგ მიღებული იქნა ზომები და შემდეგ სიმთვრალის შემთხვევები არ განმეორებულა. ამ გარემოებამ დიდი ქმაყოფილება გამოიწვია უპარტიო გლეხკაცობაში.

უპარტიოთა შორის მუშაობა ასეთია: ხდება უპარტიო გლეხების წამოყენება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მაგალითად—საბჭოების თავმჯდომარეებად უმრავლეს შემთხვევაში უპარტიონი არიან არჩეულნი, ეწყობა უჯრედების ღია სხდომებიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ სისტემატიური ხასიათი არა აქვთ.

ქალთა შორის მუშაობა კი საგრძნობლად მოისუსტებს. ყოველგვარ ღონისძიებას ვხმარობთ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მაგრამ აქედან ჯერ-ჯერობით ნაყოფი არ არის.

აჭარისტანი

აჭარისტანიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **შუშანია.**

აჭარისტანის ორგანიზაციაში სულ ირიცხება 1552 წევრი და კანდიდატი. ამათში 67,3 პროც. მუშებია. [illegible] ეს ის, რომ პარტიის კანდიდატების რიცხვი სჭარბობდა ნამდვილ წევრთა რიცხვს. ეხლა ასე არ არის. უჯრედებში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კომისიები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. უჯრედები აწყობენ, როგორც ღია სხდომებს, ისე დახურულს. ღია სხდომებზე დამსწრეთა ოდენობა დიდია. სოფლად უჯრედები სუსტად მუშაობენ, რადგან ადგილობრივი ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონე ძლიერ დაბალია. სწორედ ამისათვის სოფლის უჯრედებზე მიმაგრებულნი არიან მომზადებული ამხანაგები, რომლებიც უწევენ ბიუროებს მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას. ამ ჟამად ქალაქად ჩამოყალიბებულია საკმარი უჯრედებიც. ეს ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომელსაც შეუძლია ჩვენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მასებთან დაახლოების საქმეში, ბოლოს ვიწვევთ სამაზრო კომიტეტის სხდომებს [illegible] ... ლობენ [illegible] დასწრებით.

რაც შეეხება პარტიისაკენ ლტოლვას, ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ბევრნი ა�dებენ პარტიაში შესვლის სურვილს.

უპარტიოთა წამოყენება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სასურველი ტემპით მიმდინარეობს. უმთავრესად კურსი აღებულია აჭარლების დასაწინაურებლად.

საბჭოებზე ხელმძღვანელობა ასეთია: პარტკომი და ქალაქის საბჭოს ფრაქცია შეთანხმებულად მუშაობენ. ქალაქის საბჭოში ჩაბმულია უპარტიოთა 45 პროც., სოფლის საბჭოებშიაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს; აქ უპარტიოთა რიცხვი უფრო მეტია. სოფლის საბჭოებში ჩამოყალიბებულია ფრაქციები, რომელთა საშვალებით ტარდება პარტიული ხაზი.

სამაზრო კომიტეტი თავისი მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომკავშირის ორგანიზაციას აქ უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. მას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოებული მშრომელთა ფართე მასებში. დღეს-დღეობით კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 74 უჯრედს. ბოლოდ ახლო მომავალში მოსალოდნელია ამ უჯრედების რიცხვობრივად გადიდება.

ახალ-სენაკის მაზრა

ახალ-სენაკიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. **მენჭაძე.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია აერთიანებს 109 უჯრედს, ამათში მხოლოდ 39 უჯრედი მუშაობს დამაკმაყოფილებლად. ამ ბოლო დროს ახალსენაკში პარტმუშაობა საორგანიზაციო დარგში იქითკენ იყო მიმართული, რომ მოგვეხდინა რაიკომების ლიკვიდაცია და გადავსულიყავით ხუთმო სისტემაზე, ხოლო ამასთანავე ერთად პარტწევრებისათვის შეგვეთვისებია პარტიის ახალი კურსი და მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებანი. ეს ამოცანები, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სასურველად გადავჭერით.

უჯრედების ღია სხდომები სისტემატიურად იმართება, რომელებზედაც უპარტიოები ბლომად ესწრებიან. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ პარტია ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იზრდება. მისი ავტორიტეტიც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდია.

საბჭოებში უპარტიოთა რიცხვი აღწევს 50 პროც.

რაც შეეხება კომკავშირზე ხელმძღვანელობას, ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია: ერთად ვიმუშავებთ სამუშაო გეგმას, კომკავშირის ორგანიზაციას ამა თუ იმ კამპანიის ჩასატარებლად ვაძლევთ პარტიულ ძალებს და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობა თვით კომკავშირში მოისუსტებს, რადგან მას ძალიან მცირე შტატი ყავს და არა აქვს საკმაო თანხა ორგანიზაციულ საჭიროებებისათვის. საჭიროა ამას ამთვითვე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთის მთებში

III

ჩოლურის თემი

გველიეთ დაკლაკნილი ვიწრო ბილიკი მოუსვენრათ მისრიალებს გვერდელათ—ცხენისწყალზე დაყრილ ტალ ... ...

საგზოთა აღმუშენებლობა

ხახალხო სახლი სოფ. ნუკრიანში (სიღ. მაზრა)

დამთავრდა სოფელ ნუკრიანის სახალხო სახლის აგება. სახლი წარმოადგენს დიდს ორსართულიან შენობას, რომელშიაც მოთავსებულია სკოლა, სამკითხველო, სათემო აღმასკომი და სათეატრო დარბაზი, რომელიც იტევს 300-ზე მეტს კაცს. სახალხო სახლი აგებულ იქნა გლეხების მიერ თავისივე ხარჯით. ამ დღეებში მოხდება სახლის საზეიმო გახსნა.

ფეხელდის გზატკეცილი.

ფეხელდის გზატკეცილზე, რომელიც აერთებს ფეხელდის მდიდარ რაიონს ქ. სოხუმთან, ამჟამად მიმდინარეობს დიდი სარემონტო მუშაობა; ხიხიან კიუვეტებს, აშენებენ ჯიბრარებს და სხვა.

კომუნალური მშენებლობა ქ. ბათომში.

1925—26 წლის პირველი კვარტალისათვის ბათომის კომუნალური მეურნეობის სამუშაო გეგმა ასეთია: ხიხრილის გაშენება შავი ზღვის გზატკეცილის გასწვრივ, წყალსადენის გაყვანა სასაკლაომდე და ჭაობების ამოშრობა ქალაქის ბაღამდე. ზემოჩამოთვლილი სამუშაოები კომუნ. მეურნეობას უჯდება სულ 119 ათასი მანეთი. აქედან კომუნალური მეურნეობა კისრულობს 70.700 მანეთს გადახდას, დანარჩენი თანხა შეადგენს სამუშაო ხელფასს, რომელსაც იხდის შრომის სახალხო კომისარიატი საზოგადოებრივი სამუშაოების მომწყობ ფონდიდან.

ხპირტის სახელელი ქარხნები.

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო შეუდგა მუშაობას ქობულეთში სპირტის სახელელ ქარხნის მოსაწყობად. ქარხანა დღე-დამეში დაამზადებს 150 ედრო სპირტს. სპირტის სახელელ ნედლ მასალად ქარხანა გამოიყენებს ხილეულობას.

აჯამეთის არხი.

თანხების მიღების შემდეგ ამ ორი თვის წინად დაიწყო აჯამეთის არხის შეკეთება. ამჟამად უკვე დასრულებულია მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად და ხის ღარების დასაგება დ.

ჩვენი გზატკეცილები

რა გაკეთდა და რა კეთდება

გზატკეცილებიდან წელს პირველი ადგილი პირველ სექტემბრამდე გზატკეცილთა სამმართველო აწარმოებდა მიმოსვლას მხოლოდ 1.500 ფერსის მანძილზე. აქ არ შედიან სხვა სახის გზები.

ცხლა სამმართველო აწარმოებს მუშაობას შემდეგი გზატკეცილების გასაყვანად: სურამ-ძირულის, ჯავროკის და წყალტუბოსს (საერთო სიგრძით 100 ვერსამდე). ამასთანავე სწარმოებს გამოკვლევა სვანეთისა და ურიანეთის გზატკეცილების (საერთო სიგრძე 200 ვერსი).

ამ გზებისათვის, რომლებზედაც მოძრაობა სწარმოებს, პირველ იანვრიდან პირველ აპრილამდე დამზადებულია 2.325 კუბ. საჟენი ნამტვრევი ქვა; 33 ვერსზე ისინი მთლიანად მოკეთებულია და გატკეცილია; აშენებულია გზის ნაპირების დასაცავი კედლები 1.210 კუბ. საჟენის სიგრძეზე; გაწმენდილია და გაღრმავებულია გზატკეცილების ორთავე მხარეზე გამყოლი თხრილები; ამოღებულია გზები, გათხრილია ახალი თხრილები და სხ. საერთო სიგრძით 10.000 კუბ. საჟენი; განახლებულია ხიდების ზედაპირები 950 კვ. საჟ. წარმოებულია კლდის სამუშაოები 1.200 კუბ. საჟენზე და მიწის—2.000 კუბ. საჟენის რაოდენობით; ამ ხნის განმავლობაში მეწყერებისაგან და ნაბოკესაგან გაწმენდილია გზები საერთო სიგრძით 4.500 კუბ. საჟენი.

სურამ-ძირულის გზატკეცილი

სურამ-ძირულის გზატკეცილზე, მისი დაწყებიდან 50 დღის განმავლობაში შესრულებულია სამუშაოები 8.500 კუბ. საჟენის მანძილზედ. მოკლე ხანში გზატკეცილზე გაიხსნება დროებითი მოძრაობა.

პირველ უბანზე—სურამიდან ხუნევამდე გაყვანილია საცალფეხო გზა 0,5 საჟ. სიგანით, ჩუქთვალეთ—როკითის ფოლოტეხილის ხაზზე. ეს სამუშაოები განსაკუთრებით ძნელ პირობებშია წარმოებული, რადგან მუშაობა უხდებოდათ მთა-ტყიან ადგილებში. მეორე უბანზე, ხურეი—ლორისა, მუშაობა სწარმოებს სოფელ ბორითიდან შროშის მიმართულებით.

ამხ. რუძუტაკი საქართველოში

საქართველოში ყოფნის დროს, საბჭოთა კავშირის გზათა სახ. კომისარმა ამხ. **რუძუტაკმა** დაათვალიერა ნის სანატორიუმის აშენება-მოწყობილობა, ამხ. რუძუტაკი დაჰპირდა რკ. გზების მმართველობას წინადადება მიეცა წარუდგენოს ხარჯთაღრიცხვა და თავის მოსაზრება ამ საკითხზე. ამასთანავე იგი დაჰპირდა 220.000 მანეთს, მთელ ა|ჯ. რკ. გზებზე ძველი კლუბების აღდგენისა და ახლების აშენებისათვის.

ამხ. რუძუტაკმა ბორჯომის ვიწროო ხაზის დათვალიერების დროს, აუცილებლად სცნო მისი (გაფართოვება მომავალ სადგურის ადგილად უკეთესად ჩასთვლა ყოფ. რემეტრომ ვისეული ბაღი.

გარდა ამისა ამხ. რუძუტაკი დაჰპირდა გზას, რომ ბაკურიანის ხაზზე შეესებული და გამოვლებული იქნება მატარებლები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობით ამხ. რუძუტაკი ძალიან კმაყოფილი დარჩა და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა.

განათლების ფრონტზე

სახალხო განათლების საქმის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ დასრულა სახალხო განათლების ყოველმხრივი გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში. გამოკვლევა შეიტყო უკანასკნელ ათეულ წელს.

გამოკვლეულ იქნა სოციალური აღზრდის დაწესებულებათა ყველა ტიპები (სკოლის ჰასაკამდე აღზრდა, სასკოლო აღზრდა, საბავშვო ბაღები და სხვა) პროფესიონალური განათლება (პროფსკოლები, კურსები, ტეხნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა) და პოლიტგანათლების დაწესებულებანი.

გამოკვლევის ანკეტაში შედიოდა როგორც სააღრიცხვო რიგის საკითხები, ისე ფინანსიური საკითხები, რომელთა ანკეტაში შეტანის მიზანი იყო დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის გამორკვევა, მათი შესანახი წყაროების, ხელფასის და სწავლის გადასახადის გამოკვლევა.

ვინაიდან სწავლა-განათლების გამოკვლევა მთელს ამიერ-კავკასიაში პირველად სწარმოებდა, პროგრამა ძალიან გაფართოებული იყო და ამავე დროს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული.

ამ გამოკვლევით მიღებული მასალები ამ ჟამად მუშავდება და მზადდება დასაბეჭდათ. მალე იგი ცალკე წიგნათ იქნება გამოცემული.

სამოსწავლო წლის დაწყება

სახელმწიფო კონსერვატორიაში

ამ მოკლე ხანში დასრულდება კონსერვატორიის რეორგანიზაცია ამჟამად მმდინარეობს მუშაობა მოწაფეთა მტკიცე შტატის შესაქმნელად. სწარმოებს მოწაფეთა შერჩევა სპეციალური ნიშის და სავალდებულოდ ცნობილ საგნების ცოდნის მიხედვით.

28 სექტემბერს დაიწყო გამოცდები, რომელიც გაგრძელდება 3 კვირას. პროფესორებისა, მასწავლებლებისა და მოსამსახურეებისათვის შემცირებულია სამუშაო საათების რაოდენობა, ამასთანავე დაოვებულა იგივე ხელფასი.

ახალი შვაღლეს დაწყებითი მუსიკალური სასწავლებელი.

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან კონსერვატორიასთან ეწყობა ახალი უმაღლეს დაწყებითი მუსიკალური ტეხნიკუმი, სადაც მასწავლებლად მოწვეულნი არიან კონსერვატორიის პედაგოგიური შტატის გარეშე მოყოლილი მასწავლებლები. ტეხნიკუმი არის 4 წლიანი კურსით. გადახალისებულ კონსერვატორიას ეგრეთვე ახალი მუსიკალური ტეხნიკუმის დაარსებაზე უკვე ანმშენებლობა და მიმდინარე სამოსწავლო წლიდან გატარებული იქნება ცხოვრებაში.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტებზე სწავლა განაახლდება მიმდინარე სამოსწავლო წლის 15 ოქტომბრიდან. სამოსწავლო გეგმა შარშანდელი რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო ცვლილებებს.

საგინაო მუშეობლობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საქართველოს საზიარო ქალაქებიდან მიიღო ცნობები საბინაო მშენებლობისათვის საჭირო კრედიტების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით შინ. სახ. კ.მა აუწყა სრ. საკავშირო კომუნალურ ბანკს, რომ საქართველოს ქალაქებს 1925—26 საბიუჯეტო წლის საბინაო მშენებლობისათვის (ახალ სახლების ასაგებად, და მუნიციპალიზაციადმდინ შენობათა სარემონტოდ) სჭირდებათ სესხი, — 4.128.323 მანეთის რაოდენობით. ამ თანხაში არ შედის საქართველოს კომუნალური მეურნეობის ყარმოებებისათვის საჭირო თანხები;

სესხი ამ უკანასკნელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის შეადგენს 4.150.361 მანეთს. აღძრული შუამდგომლობის თანახმად სრ. საკავშირო კომუნალური ბანკი კისრულობს მთელი საბინაო მშენებლობისათვის საქართველოს ქალაქებს სესხი მოთხოვნილი რაოდენობის ფარგლებში.

სესხი საშუალებას აძლევს საქ. ქალაქებს გაადგილონონ უკვე დაწყებული საბინაო და კომუნალური მშენებლობა.

შინა-მრეწველეგის და ხელოსნეგის ყრილობა

შინა მრეწველობის და ხელოსნების თბილისის საზოგადოებასთან შესდგა საორგანიზაციო კომისია 15 ოქტომბრისათვის შინა მრეწველობის და ხელოსნების სრ. საქართველოს ყრილობის მოსაწვევად. ყრილობის სასურველად ჩატარების მიზნით, საორგანიზაციო კომისიამ ადგილებზე წარმომადგენლების არჩევნების სახელმძღვანელოდ დაგზავნა ინსტრუქტორები. სადაც არ არსებობს შინა-მრეწველობის და ხელოსნების საზ ბა, ინსტრუქტორებს დავალებული აქვთ, იქ ჯერ მოაწყონ ასეთი საზ-ბა და შემდეგ მოახდინონ წარმომადგენლების არჩევნები საზ-ბის 100 წევრი ირჩევს ერთ წარმომადგენელს.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია საყურადღებო საკითხები, მაგალ, სამრეწველო კოოპერაციის, ტარიფების, გადასახადების, ცენტრალურ გამგეობის არჩევნების და სხ. შესახებ.

ეს ყრილობა პირველი ნაბიჯია რ. საქართველოს. შინა მრეწველების და ხელოსნების ორგანიზაციულად გასაერთიანებლად.

გამოფენა რევოლიუციის მუზეუმი

